603/2w 11552

ფარშავანაც, ფელსაც 26 მაისს...

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე ეროვნულ თასს გადასცემს დინამოელთა კაპიტანს მიხეილ ყაველაშვილს; მარჯვნივ — მეოთხე გოლი ბათუმელთა კარში; ქვემოთ — 1998 წლის საქართველოს თასის მფლობელი — თბილისის „დინამო“

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

იხ. მე-3 გვ.

ლელო

29.V-1.VI. 1998 წ.
№ 87 (10825) ● ფასი 15 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

26 მაისს საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე ● საარქივო დოკუმენტები მოგვითხრობენ

ქართველი სპორტსმენები 26 მაისის დღესასწაულებში

1919 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი წლისთავი იზეიმა. ეს იყო საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომლის მომზადებასა და საზეიმო ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი სპორტსმენებიც.

საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით დღესასწაულის მომზადება დაევალა ხელოვნების კომისიას (თავმჯდომარე — ვ. სურგულაძე, პასუხისმგებელი მდივანი — გ. ქიქოძე). კომისიამ წინადადებების შემუშავება სთხოვა თავის დარგობრივ სექციებს, რომელთა შორის იყო „საგიმნასტიკო“ სექციაც. სავარაუდოა, რომ მას ხელმძღვანელობდა გ. ნიკოლაძე.

ხელოვნების კომისიის დარგობრივი სექციების მიერ წარმოდგენილი წინადადებები დაედო საფუძვლად „26 მაისის ზეიმის პროგრამის პროექტს“, რომელიც შეიმუშავა თეატრალურმა სექციამ სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული პროექტის სპორტული ნაწილი ითვალისწინებდა აღლუმისთვის მოსწავლე-ახალგაზრდობის სამწყობრო და „გიმნასტიკური“ ვარჯიშების მომზადებას, ვაკის „სტადიონის“ მზადყოფნას მასობრივი გამოსვლებისთვის. ვაკის გარდა სპორტული ასპარეზობები გათვალისწინებული იყო დიდუბის იპოდრომზეც, სადაც პროექტის მიხედვით „გაიმართება დოღი, თარჩია, ცხენის თამაშობანი, კენწლაობა და სხვა, რისთვისაც საქართველოს ყველა კუთხიდან მოწვეული იქნებიან სპეციალისტები“.

იხ. მე-2 გვ.

ლეკვი რომ ლომისა სწორია...

ეს ამჯერად ქეთევან კახიანზე ითქმის—თბილისელ ჭადრაკის დიდოსტატზე, 20 წლამდე გოგოებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონსა და ევროპის გუნდური პირველობის მეორე პრიზიორზე.

თბილისის II საერთაშორისო ტურნირის — „შევარდენი-93“-ის მონაწილე დიდოსტატებთან ბრძოლაში ქეთინომაც შეძლო ის, რითაც აქამდე არაერთხელ გავუხარებივართ. მის უფროს კოლეგებს ნონა გაფრინდაშვილს, მაია ჩიბურდანიძეს, ნანა იოსელიანს, ნანა ალექსანდრიას — პირველიდან ბოლო, IX ტურის ჩათვლით კახიანი მართლაც ვაჟკაცურად იბრძოდა და ისე გაზვლო ასპარეზობის 9 დღე, პარტია არ წაუგია. ასევე წაუგებლად დაასრულეს შეჯიბრება თბილისელმა ალექსანდრე დგებუაძემ და აზერბაიჯანელმა ჯემალ ალამალიევმა, ასე რომ, სხვა ვერც ერთმა დიდოსტატმაც კი ვერ შეძლო მათი ამ შედეგის გამეორება (ისინი კი ათნი იყვნენ), რომ აღარაფერი ვთქვათ დანარჩენ 74 მონაწილეზე.

კახიანმა და ალამალიევმა 5-5 მოგება ჩაიწერეს და 4-4-ჯერ დაზავდნენ, საბოლოოდ 7-7 ქულა მოაგროვეს და თბილისელ დიდოსტატ გენადი ზაიჩიკთან ერთად II-IV ადგილები გაიყვეს. ზაიჩიკმა მოგებული პარტიების (6) რაოდენობით აჯობა ორივეს, მაგრამ წაგებას ვერ გადაურჩა (მას ინგა ხურცილავამ აჯობა).

6 მოგება ჩაიწერა ალექსანდრე დგებუაძემაც. — მან დაამარცხა ჯემალ ბერაძე, დიანა დარჩია, ინგა ხურცილავა, მერე ქულები გაიყო ალამალიევთან, ლაშა ჯანჯღავასთან, აკაკი შალამბერიძესთან, ბოლო სამ ტურში მოუგო ნინო გურიელს, ზურაბ სტურუას და ხვიჩა სუპატაშვილს. 7,5 ქულამ 21 მაისს (ამ დღეს 22 წლის გახდა) ალექსანდრეს საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონის წოდება და მთავარი პრიზი — 600 დოლარი შესძინა.

დგებუაძე სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წევრია. მას თამაზ კიკიანი ავარჯიშებს და ფიდეს საკმაოდ სოლიდური რეიტინგიც (2400) აქვს, მამასადამე, ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა, თუმცა ასპარეზობის საზეიმო გახსნისას ვერავინ

იხ. მე-2 გვ.

„შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბერდია გუგავა (მარჯვნივ) დაბადების დღეს და ტურნირში გამარჯვებას ულოცავს და პირველ ჯილდოს გადასცემს ალექსანდრე დგებუაძეს.

ალექსანდრე კოროტაშვილის ფოტო.

მოგება 141 მილიონი და ცოტა მეტი

● **მოსკოვი.** „ოლიმპიური ლატარიის“ — „ლოტო მილიონის“ მეოცე ტირაჟში გამარჯვებული მიიღებს ფანტასტიკურ თანხას — 141 მილიონ 946 ათას 175 მანეთს. გასაგები მიზეზების გამო ლაურეატის ვინაობას საიდუმლოდ ინახავენ. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი მოსკოველია, მუდმივად თამაშობს ლოტოს და ამ ტირაჟში 6 ათასი მანეთის ბილეთი შეიძინა.

ულოცავენ

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი დაბადების 70 წლისთავს ულოცავს ლაგოდეხის რაიონში ფრენბურთის ღვაწლმოსილ პროპაგანდისტს, შესანიშნავ სპეციალისტს, რაიონის ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს ფრენბურთში **ალექსანდრე კაპანაძეს.**

ინფორმაცია

მაინც, მე შენ გაჯობე!

● **მარსელი.** რაპირისტ ქალთა მსოფლიო თასის ეტაპი — ლეონ ჟანტის თასი მოიგო მსოფლიო ექსჩემპიონმა და ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონმა, იტალიელმა ჯოვანა ტრილინიმ, რომელმაც ფინალში უნგრელ ილდიკო მინცს აჯობა — 6:4, 6:5

„ინდი-500“ და 33 საუკეთესო

● **ინდიანაპოლისი.** საკვალიფიკაციო რბოლების შემდეგ გამოვლინდა 33 მონაწილე, რომელიც სტარტს აიღებს ავტომობილისტთა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ რბოლაში — „ინდი-500“-ში. მათ შორის არიან: ამერიკელი მარიო ანდრეტი, ინგლისელი ნაიჯელ მენსელი, ბრაზილიელი ნელსონ პიკე და სხვ.

ჯეკი მაინც სხვა კაცია

● **ხალო.** ფინეთის ამ ქალაქში გაიმართა მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონატის (500 კუბ. სმ კლასი) მორიგი ეტაპი, რომელიც ბელგიელმა ჯეკი მარტენსმა მოიგო. 125-იანებში უძლიერესი ჰოლანდიელი პედრო ტრაგტერი იყო, 250-იანებში კი გრეგ ალბერტინი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა).

ფინალი — ხუთი მატჩით!

● **მადრიდი.** ესპანეთის ჩემპიონის წოდება კალათბურთში ვაჟთა შორის აღგილობრივმა „რეალმა“ მოიპოვა. ხუთმატჩიანი ფინალური სერია ბადალონას „ხუვენტუდს“ მან 3:2 მოუგო. გადამწყვეტი ორთაბრძოლის საბოლოო ანგარიშია 78:69 „რეალის“ სასარგებლოდ. ჩემპიონის შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ლიტველი არვიდას საბონისი გახლდათ — 22 ქულა.

ეროვნული

ქართველი სპორტსმენები 26 მაისის დღესასწაულებში

(დასასრული)

მართლაც დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა დღესასწაული, რომლის მსგავსი მანამდე არასოდეს უნახავთ თბილისელებს.

1920 წელს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა... თბილისში გაიხსნა სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები, საფინანსო-სავაჭრო, კულტურული და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციები. საქართველოს დედაქალაქს არ აკლდნენ სტუმრებიც, რომელთა მიპატიჟება საზეიმო ცერემონიალზე გადაწყვიტა რესპუბლიკის მთავრობამ.

ალბათ ამან განაპირობა ის, რომ გაცილებით ადრე დაიწყო მზადება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ორი წლისთავის აღსანიშნავად.

სპორტული ღონისძიებების ჩატარებას და მით უმეტეს, დიდ დღესასწაულს, ასპარეზი ესაჭიროებოდა. ასეთ სარბიელად იქცა „ვაკის მინდორი“, რომელიც „ვაკის სტადიონად“ მოინათლა. ამიტომ იყო, რომ „შევარდენის“ საზოგადოების ხელმძღვანელობამ დამფუძნებელი კრების წინაშე დააყენა საკითხი სპორტული ბაზების — სტადიონების, დარბაზების, მცირე მოედნების მოწყობისა და სპორტული ინვენტარის შეძენის თაობაზე.

1919 წლის 19 დეკემბრითაა დათარიღებული საზოგადოება „შევარდენის“ ხელმძღვანელთა მიერ დამფუძნებელი კრების სახელზე გაგზავნილი წერილი, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს ქართული სპორტის განვითარების თავისებურ პროგრამას. მისი შემდგენელია გ. ნიკოლაძე.

1920 წლის 25 და 26 თებერვალს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის სხდომები, რომლებიც მიეძღვნა ვაკეში სტადიონის მშენებლობისა და 26 მაისის დღესასწაულის სამზადისს. ინფორმაციით გამოსულმა გ. ქიქოძემ შეკრებილთ აუწყა, რომ ქალაქის თვითმმართველობას მზადა აქვს 40 ათასი მაყურებლისათვის გათვალისწინებული „ვაკის სტადიონის“ პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ითვალისწინებს 16 მილიონ მანეთს. რა თქმა უნდა, ასეთი სტადიონის აშენება მოკლე დროში შეუძლებელი იყო, ამიტომ გადაწყდა მოემზადებინათ მარტივი ტიპის მოედანი, კეთილმოეწყოთ მომავალი სტადიონის შემოგარენი, რაც დაავალეს ვლ. მგელაძეს და ბოტანიკოს ბ. რტოვს. სიტყვით გამოსულმა ქალაქისთავმა ბ. ჩხიკვიშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ სტადიონის შემოგარენის კეთილმოწყობაში ჩაებან თბილისელი მოსწავლე-ახალგაზრდები და ჯარისკაცები.

გადაწყდა: 26 მაისისთვის „აეგოთ ფარდული და დაედგათ კარვები მთავრობისა და საპატიო სტუმრებისათვის“, ხოლო „გიმნასტიკური გამოსვლებისთვის ხის სპეციალური ბაქნები და შენობა“ (ალბათ, დარბაზი). ამავე დროს სასწრაფოდ უნდა დარგულიყო საჩრდილობელი ხეები.

1920 წლის 28 აპრილს გაიმართა დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის მორიგი სხდომა, რომელმაც კვლავ განიხილა აღნიშნული საკითხი.

გამოირკვა, რომ მთავრობამ მომავალი სტადიონის ტერიტორიის კეთილმოსაწყობად და 26 მაისის დღესასწაულის მოსამზადებლად გამოყო 300 ათასი მანეთი. დიდი თანხა იყო საჭირო წყნეთილი გლეხებისგან ტერიტორიის გამოსასყიდად, დამატებითი თანხა მოითხოვა „შევარდენის“ საზოგადოებამაც, რომელსაც ფული ესაჭიროებოდა ფორმის შესაკერად...

ალბათ, ამან გამოიწვია გ. ქიქოძის კრიტიკული გამოსვლა, რომელიც წინაალმდეგი წავიდა მოეწყოთ „გრანდიოზული სანახაობა“ და საერთოდ ეჭვის ქვეშ დააყენა 26 მაისის დღესასწაულის დიდი მასშტაბით მოწყობა, მიიჩნია რა, რომ საქართველო არ იყო მზად ამისთვის: „ეროვნულ დღესასწაულს ამოძრავებს ეროვნული ენთუზიაზმი, ეს კი შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ჩვენში იქნება პოლიტიკური სიმშვიდე და ხალხს მიეცემა საშუალება თავისი შემოქმედების ამოძრავებისა. პოლიტიკური საქმეები თუ გართულდა, დღესასწაული თავის ელფერს დაკარგავს, სჯობს ყველა ამას თავი დავანებოთ და მივცეთ იმპროვიზაციის ხასიათი — მოეწყოს მხოლოდ ერთნაირი ერთიანი პროცესია, რადგან სულიერ მდგომარეობას არა ვთვლი სადღესასწაულოდ მომართულს“.

კამათის შემდეგ მაინც გადაწყდა გრანდიოზული დღესასწაულის მოწყობა, „რომელიც აწევდა ხალხის სულიერ მდგომარეობას“.

1920 წლის 26 მაისს 100 ათასი მაყურებელი დაესწრო ვაკეში გამართული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 2 წლისთავის დღესასწაულს, რომლის აპოთეოზსაც წარმოადგენდა საზოგადოება „შევარდენის“ მიერ მომზადებული თეატრალიზებული სპორტული სანახაობა — 2 ათასამდე ახალგაზრდის მასობრივი ვარჯიშობანი.

პუბლიკაციაში გამოყენებულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტები (ფონდი — 1833, ანაწერი-ს, საქმე—1007).

ბონდო ჩიკვაიძე,
საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანეს“ ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი.

ერთგულება

არ გავცვლი მე ჩემს სიყვარულს...

...ყოველ დილით შეხვდებით ამ მაღალ, წარმოსადეგ კაცს საყვარელ რუსთაველზე,

ჯუდუ ქამუშაძეა, მთაწმინდის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

— მუდამ ფეხით დადიხართ, მაშინაც კი, როდესაც გაგვიანდებათ?

— ისიც მეყოფა, მეტროთი ღრმაღელედან რუსთაველის მოედნამდე 15 წუთს რომ ვანდომებ. რა ჯობს დილის სუფთა ჰაერს, დღის შუქს, მშობლიურ თბილისსა და საამაყო პროსპექტს, თუნდაც იგი გულში იყოს დაჭრილი.

საქართველოს დედაქალაქის რაიონების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებს შორის ჯ. ქამუშაძე თავისებური რეკორდსმენია — 18 წელია მუშაობს ამ პოსტზე. მანამდე რეკორდსმენად, თუ არ ვცდებით, ვაკის (მაშინდელი ორჯონიკიძის) რაიონის სპორტის მესვეური ალექსანდრე ბეროზაშვილი ითვლებოდა.

— ბეროზაშვილმა მართლაც დიდხანს — 12 წელიწადი იმუშავა თავმჯდომარედ, მერე მისი რეკორდი ერთბაშად სამმა თუ ოთხმა კოლეგამ „მოხსნა“. აი მე კი, ჯერჯერობით ყველაზე ძველი მუშაკი ვარ სპორტკომიტეტების თავმჯდომარეებს შორის, და, მგონი, არა მარტო თბილისში...

ექვსი ათეული წელი შეუსრულდა. სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლებმა ლიუდვიგ იაკობაშვილმა და შალვა მაჭავარიანმა იმთავითვე შეაყვარეს სპორტი. ჯგუფში ყველაზე მაღალი იყო და ყველაზე უკეთ თამაშობდა კალათბურთს. ფრენბურთი და, ცხადია, ფეხბურთიც იტაცებდა. მეკარე იყო, მოგვიანებით რაიონის ფეხბურთელთა ნაკრების კარს იცავდა. კალათბურთელთა გუნდში კი მეგობრებმა იგი კაპიტნად აირჩიეს. სწრაფი, მოძრავი, ზუსტი ტყორცნებით გამორჩეული ჭაბუკი ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას და ლევან ინწკირველის თამაშით იყო მოხიბლული. აკი რამდენიმე მეგობართან ერთად თურქეთის „გალათასარაისთან“ თამაშის სანახავად საჩხერედან საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში. მერე საჩხერელებმა თავად გამართეს გასვლითი „საერთაშორისო“ მატჩები ბორჯომში, გორში, ქუთაისში, ტყიბულში...

სკოლის დამთავრების შემდეგ ხიჭიერი სპორტსმენი ჭიათურაში მიიწვიეს მეკარედ — გაერთიანება „მარგანეცტრესტის“ ერთ-ერთ მაღაროში გააფორმეს... მარკშეიდერის დამხმარედ.

— გამოგიტყდებით, კარგად არც ვიცოდი, რას ნიშნავდა სიტყვა „მარკშეიდერი“. წარმოიდგინეთ, მეც კინოფილმ „ცისფერი მთების“ ერთი გმირივით ხშირ-ხშირად ვვარდებოდი კომიკურ სიტუაციაში.

ორი წელიწადი ითამაშა გუნდში, სანამ მისთვის ფიზკულტურის მეთოდისტის საშტატო ერთეული არ დაუშვეს „ზემოდან“. მერე მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა, ხუთი წელი იმუშავა სოფელ ხიხის საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლად. ამდენივე წელი ფიზკულტურის მეთოდისტი იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო მშენებლობის კომიტეტში, ბოლოს კი საჩხერის მოზარდ კალათბურთელთა გუნდსა და ადგილობრივი სპორტსკოლის მოსწავლეებს ავარჯიშებდა. დღეს კი...

ბევრი სიახლე დაინერგა მთაწმინდის (ყოფილი კალინინის) რაიონში სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ჯ. ქამუშაძის ინიციატივით. ეს იყო რაიონული დარგობრივი სპარტაკიადები, ასე განსაჯეთ, ბანკის ინკასატორებიც კი გამოიყვანა სპორტულ სარბიელზე. თბილისში, საზოგადოებრივ საწყისებზე, მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა სახელოვანი სპორტსმენების სახელობის პირველი კლუბები (ბორის პაიჭაძის, გივი ყვარელაშვილის და სხვათა), ატარებს კონკურსს ბორის პაიჭაძის ძეგლის შექმნაზე, დაიწყო ავტოსადგომების თავზე მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა, შექმნა ათლეტიზმის კლუბი „ჰერაკლე“...

— გული მწყდება, რომ ქართველი კაცი აღარ იჩენს ძველებურ სიყვარულს ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი. უწინ შაბათკვირაობით მაინც ამოდიოდნენ მთაწმინდელები ოქროყანის სტადიონზე, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები. ახლა კი, რა გამოდის — ჩვენი ახალგაზრდობა უქმად კარგავს საუკეთესო წლებს, არ ცდილობს გაიკაჟოს ჯანმრთელობა. რაღა შორს წავიდეთ: ჩემი შვილებიც, პაატა და გიორგი, ბოლომდე არ გაჰყვნენ სპორტს, თუმცა თავიდან თითქოს უყვარდათ იგი და საუკეთესო მონაცემებიც გააჩნდათ. ახლა იქნებ შვილიშვილებმა — გურამმა და ლალიმ — გამიმართლონ იმედი...

თხრობა სპორტის ამ ერთგულ ენთუზიასტზე, რომელმაც, რა დასამალია, ბევრჯერ უარყო მისთვის შეთავაზებული ბევრად სარფიანი საქმიანობა, გვინდა თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმერ კანკავას სიტყვებით დავასრულოთ:

— ჯუდუ ქამუშაძე ჩვენი საუკეთესო მუშაკია, კარგი ორგანიზატორი, პრინციპული, ავტორიტეტული, გამოცდილი ადამიანი, ასეთი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება მართლაც რომ საშურია ყველა საქმიანობაში.

...ყოველ დილით შეხვდებით ამ მაღალ, წარმოსადეგ კაცს საყვარელ რუსთაველზე...

ოთარ ნოზაძე

◆◆◆◆◆

დაჯილდოება

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ქ. თბილისის მერიამ საპატიო სიგელით დააჯილდოვა მთაწმინდის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **ჯუდუ მიხეილის ძე ქამუშაძე.**

იუბილარი საპატიო სიგელითა და ათი ათასი მანეთით დააჯილდოვა ქ. თბილისის სპორტკომიტეტმა.

ს უ რ ა თ ზ ე: ბაკურიანი, 1982 წელი. მთაწმინდის რაიონის სპარტაკიადა ზამთრის სპორტის სახეობებში. ცენტრში — ჯუდუ ქამუშაძე.

ნუგზარ ქარელის ფოტო.

ლეკვი რომ ლომისა სწორია...

(დასასრული)

იფიქრებდა, რომ იგი ყველას აჯობებდა.

— სტარტის წინ თუ გჯეროდათ, რომ პირველ ადგილს დაიკავებდით?

— ვკითხეთ უკანასკნელი პარტიის დამთავრებისთანავე, როცა ნათელი გახდა, რომ მისი დამწევი აღარავინ იყო.

— თავიდანვე გადავწყვიტე რომ ერთ-ერთი მაღალი ადგილისთვის მებრძოლა. კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი — საქართველოს საკლუბო პირველობაში გამარჯვების მერე, როცა ცხაკაიას „ეგრისის“ შემადგენლობაში პირველ დაფაზე შვიდივე პარტია მოვიგე და ევროპის საკლუბო გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოვიპოვეთ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მეტის გაკეთებას შევძლებდი...

შეგახსენებთ, რომ ა. დგებუაძე საქართველოს 50-ე, შარშანწინდელ ჩემპიონატში გამარჯვებულია.

ბუნებრივია გაინტერესებთ, რა მოსავალი მოიმკეს საქართველოს წამყვანმა მოჭადრაკეებმა, ჩვენმა მსოფლიო ექსჩემპიონებმა, რით დაიმშვენეს ხელი სტუმრებმა...

აი, ისინი, ვინც საუკეთესო ოცეულში შევიდნენ (დებულებით I-XX ადგილები იყო საპრიზო): V-VI: იგორ ეფიმოვი, სერგო მოვსესიანი — 6,5 ქულა თითოეულს. VII-XIV: ხვიჩა სუპატაშვილი, ბუხუტი გურგენიძე, შალამბერიძე, ზურაბ ხოფერია, აშოტ ნადანიანი (სომხეთი), თამაზ გელაშვილი, ალექსანდრე ბოკუჩავა, გიორგი ბახიაძე — 6-6. 5,5-5,5 ქულა მოაგროვა 12-მა მონაწილემ, რომელთა შორის არიან ნანა ალექსანდრია, ნინო მელაშვილი, გიორგი ბალათუროვი, ლაშა ჯანჯღავა, ნინო გურიელი, მაია ჩიბურდანიძე, სოფიკო ტყეშელაშვილი, ვიგენ მირუნიანი (სომხეთი)... უპრიზოდ დარჩნენ ზურაბ სტურუა (5 ქულა) და ნონა გაფრინდაშვილი (4).

რაც შეეხება სხვა უცხოელებს, მიჰირ ჯაფაროვმა (აზერბაიჯანი) და ჰუსეინ არია ნეჯადიმ — 4,5-4,5, რეზა რეზაეიმ — 3,5 და ნადი მომენმა (სამივე—ირანი) 2,5 ქულის აღება შეძლეს.

ასპარეზობაზე თავი გამოიჩინა რამდენიმე მოზარდმა, რომლებიც ხვალ-ზეგ ბრატისლავაში ან სომბათჰეიში გაემგზავრებიან თანატოლთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. ესენია: 10 წლის თელაველი ანა მათნაძე (ირანის ჩემპიონის მომენის ჩამოტოვება შეძლო), 14-წლიანებში—ქუთაისელი სოფიკო ტყეშელაშვილი და თბილისელი გიორგი ბახტაძე, 16-წლიანებში—მოვსესიანი და გელაშვილი.

ტურნირის საზეიმო დახურვაზე „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ბერდია გუგავამ, მთავარმა მსაჯმა თენგიზ გიორგაძემ, დიდოსტატებმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა (იგი შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა) და ნანა ალექსანდრიამ, რესპუბლიკების პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ სიკო გეგიაძემ ილაპარაკეს შეჯიბრების უდიდეს მნიშვნელობაზე, სპონსორებისა და მოჭადრაკეების თანადგომაზე, პერსპექტივებზე.

სოფიო ჩიხრაძე

ეშინიათ თუ არა ამერიკელებს სპორტში უცხოეთის ინვესტიციისა?

თუ ვიტყვით, რომ უცხოეთის ინვესტიციები ამერიკის პროფესიულ სპორტში 2 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, არ ეშინიათ. ამ ქვეყნის კანონი უცხოეთის ინვესტორებს არ ზღუდავს, ოღონდ ეგაა, სპორტული ინდუსტრიის მესაჭენი საქმის დაჭერას მაინც თავისიანებთან ამჯობინებენ. განსაკუთრებით მძლავრობენ იაპონელები — აშშ-ში მათ უკვე შეიძინეს არაერთი გოლფ-კლუბი, იპოდრომი, ახლა კი თურმე ეროვნული საფეხბურთო, საკალათბურთო და კეტბურთის ლიგების დაპატრონებაზე უჭირავთ თვალი.

ერთი სიტყვით, აშშ-ის სპორტული ინდუსტრია უცხოელი კომპანიებისა და კერძო ინვესტორების შიშით არ კრთის, მაგრამ, არც სიფხიზლეს კარგავს.

მთავარი მაინც გონიერებაა.

გვახსოვს პლაჟის ფრენბურთი?

სპორტულ ფრენბურთთან მიმართებაში ე. წ. პლაჟის ფრენბურთს ირონიით მოიხსენიებენ ხოლმე. არადა, პლაჟის ფრენბურთი ყველასთვის ხელმისაწვდომია და ემსახურება ადამიანების გაჯანსაღებას, ორგანიზმის გაკაჟებას — ამაზე მეტი რა უნდა მოსთხოვო ერთ პატარა ბურთს, რომელსაც თურმე მართლაც მრავლად ჰყავს თაყვანისმცემლები მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ჩვენში სპორტული ფრენბურთი უდიდეს პრობლემების წინაშე დგას, პლაჟის ფრენბურთზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, რით სულდგმულობს პლაჟის ფრენბურთი უცხოეთში, იქნებ ჩვენც გამოგვადგეს სხვათა გამოცდილება?

ეკა ბარამიძე,
ნანა ფიფია,
თბილისი.

უცხოეთის ბევრ ქვეყანაში მართლაც დიდ პატივშია პლაჟის ფრენბურთი. მეტიც — მაგალითად, აშშ-ში იგი სარფიანი ბიზნესის წყაროდაც იქცა. ამ ქვეყანაში პლაჟის ფრენბურთზე ზრუნვამ ეს თამაში საყოველთაო გატაცების საგნად აქცია, ხოლო იქ, სადაც მილიონები არიან ჩართული საქმეში, თავისთავად ჩნდებიან მაღალი კლასის მოთამაშეები და ჩნდება შეჯიბრებების აუცილებლობა. პროფესიულ ფრენბურთელთა ასოციაციამ 1990 წელს პირველად გამოყო 2 მილიონი დოლარი საპრიზო ფონდისთვის, ასპარეზობათა სპონსორი კი გახდა სპორტული ფეხსაცმლის მწარმოებელი ფირმა. პლაჟის ფრენბურთს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აგრეთვე ტელევიზია. უდიდესმა ტელეკომპანია ენ-ბი-სიმ პირველმა იკისრა პლაჟის ფრენბურთის ასპარეზობათა გადაცემა, აღარაფერს ვამბობთ თამაშების საკაბელო ტელევიზიის მეშვეობით პროპაგანდაზე.

სხვათა გამოცდილების გაზიარება ჯერჯერობით ჩვენთვის მხოლოდ სურვილად რჩება.

მაგრამ სურვილიდან რეალობისკენ რაღაც ნაბიჯების გადადგმა ამთავითვე მაინც შეიძლება.

მასალები მომზადდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით.

ორი ნაკრებით— განჯაში

25 მაისი. განჯა. ცენტრალური სტადიონი. 20.000 მაყურებელი.

აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრები — საქართველოს ეროვნული ნაკრები 1-0. მსაჯები: რ. რაგიმოვი (ბაქო), მ. მამედოვი, ა. გულამი (ორივე — განჯა). **აზერბაიჯანი:** ე. ჰასანოვი (ბაქოს „ნეფთჩი“) გ. ჯაფაროვი (განჯის „ქიაფაზი“), მ. იუნუსოვი (სუმგაითის „ხაზარი“), ე. აგაევი (მახაჩყალის „ანჯი“), ტ. ახმედოვი (გროზნოს „თერგი“), ზ. ყარაევი (აგდამის „ყარაბაღი“), ვ. რზაევი, შ. დინიევი (ორივე—გროზნოს „თერგი“), მ. ალიევი, (აგდამის „ყარაბაღი“), ნ. სულეიმანოვი (ვლადიკავკაზის „სპარტაკი“), ს. ალეკპეროვი (ბაქოს „ნეფთჩი“). შეცვლაზე გამოვიდნენ: ა. ასადოვი (ბაქოს „ნეფთჩი“), ა. აბიშევი (საბირაბადის „სტროიტელი“), მ. ჰუსეინოვი (აგდამის „ყარაბაღი“), დ. ტანივერდიევი, მ. ყურბანოვი (ორივე — განჯის „ქიაფაზი“), ნ. ალიევი (სუმგაითის „ხაზარი“), გ. ყურბანოვი (ზაქათალის „ტაშკიმი“). მთავარი მწვრთნელი — **ალეკპერ მამედოვი.**

საქართველო: ა. დევაძე (თბილისის „შევარდენი-1906“), გ. ფირცხალავა, ნ. ლობჟანიძე (ორივე — რუსთავის „გორდა“), კ. სიდამონიძე (თბილისის „მრეტები“), გ. ჯიშკარიანი, ქ. გოგიჩაიშვილი, გ. ნემსაძე, დ. ყიზილაშვილი (ყველა — თბილისის „შევარდენი—1906“), ვ. სეფაშვილი (გურჯაანის „ალაზანი“), მ. ბიგვავა (სოხუმის „ცხუმი“), გ. დარასელია (ქუთაისის „ტორპედო“). შეცვლაზე გამოვიდნენ: დ. ჯანელიძე („მრეტები“), ი. გაბისკირია („ცხუმი“), დ. ჯანაშია („ტორპედო“). მთავარი მწვრთნელი — **ა. ჩივაძე,** მწვრთნელი — **ვ. პაპოვი.**

გოლი: ლობჟანიძე (საკუთარ კარში).

როგორც საქართველოს ნაკრების მესვეურებმა გვითხრეს, აზერბაიჯანელებმა გულთბილად უმასპინძლეს საქართველოს სპორტულ დელეგაციას. თამაშიც საინტერესოდ, დაძაბულ ორთაბრძოლაში წარიმართა. 52-ე წუთზე მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევისას ლობჟანიძემ უხერხულად მოიგერია ბურთი და იგი საქართველოს ნაკრების კარში აღმოჩნდა. დარჩენილ დროში ჩვენები ბევრს ეცადნენ, მაგრამ საპასუხო გოლის გატანა ვერ შეძლეს.

ნაკრების შემადგენლობაში არ იყვნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები, რომლებსაც მეორე დღეს ეროვნული თასის ფინალური მატჩი ჰქონდათ სათამაშო. ჩვენებს აკლდათ აგრეთვე ძირითადი ცენტრალური მცველი გ. გუჯაბიძე (მან ორი კვირის წინ უმძიმესი ტრავმა მიიღო) და უცხოეთში მოთამაშე ლეგიონერები. რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, მათ ამ შეხვედრაში შეძლეს პრაქტიკულად ყველა უძლიერესი ფეხბურთელის თავმოყრა, ესპანეთში მოთამაშე კ. კასუმოვის გარდა.

• • •

იმავე დღეს განჯაში გაიმართა 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ეროვნული ნაკრებების შეხვედრაც — ჩვენებმა აქაც წააგეს 0:2.

კახი ცხადაძე— ევროპული აღიარება

ქართველი ფეხბურთელი კახი ცხადაძე, რომელიც თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, მერე გადავიდა მოსკოვის „სპარტაკსა“ და „დინამოში“, შემდგომში კი კონტრაქტი გააფორმა გერმანიის ქალაქ მაინის ფრანკფურტის „აინტრახტში“, იტალიურმა გაზეთმა „ლა გაძეტა დელა სპორტმა“ წლევანდელი სეზონის შედეგებით შეიყვანა ევროპის სიმბოლურ ნაკრებში, რომელიც იტალიელ ფეხბურთელთა გარეშეა შედგენილი.

აი, ეს სიმბოლური ნაკრები: ბენედეტი (იუვენტუსი, სან-მარინო), ცხადაძე („აინტრახტი“ გერმანია), კოუტუ („პორტო“, პორტუგალია), შვარცი („ბენფიკა“, პორტუგალია), მათეუსი („ბაიერნი“, გერმანია), ზამერი („ბორუსია“, დორტმუნდი, გერმანია), სოზე („ოლიმპიკი“, მარსელი, საფრანგეთი), ენრიკე („რეალი“, მადრიდი, ესპანეთი), ბოკშიჩი („ოლიმპიკი“), კანტონა („მანჩესტერ იუნაიტედი“, ინგლისი), ფუტრე („ბენფიკა“, პორტუგალია).

შარშანაც, წელსაც 26 მაისს...

პირველი ფინალი

თბილისი, 1990 წლის 18 ნოემბერი. „გურია“ (ლანჩხუთი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 1-0. გოლი: ფრიდონაშვილი.

მეორე ფინალი

თბილისი, 1992 წლის 26 მაისი. „იბერია“ (თბილისი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 3-1. გოლები: ინალიშვილი, რევიშვილი, შ. არველაძე („იბერია“), ჯიშკარიანი („ცხუმი“).

მესამე ფინალი

თბილისი, 1993 წლის 26 მაისი. „დინამო“ (თბილისი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 4-2.

„დინამო“: ზოიძე (ჩხეიძე), ბერაძე, ჯამარაული, შელია, ა. არველაძე (კვარაცხელია), ყაველაშვილი, ინალიშვილი, ჩიქოვანი, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე.

„ბათუმი“: ბალაძე, მუჯირი, შანიძე, ღლონტი (გულისაშვილი), შეყილაძე, თორლაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე, ხომერიკი, ტუღუში, კანტიძე.

გოლები: რ. არველაძე — 2, ა. არველაძე, ტუღუში, შ. არველაძე, ხომერიკი.

გააფრთხილეს შანიძე.

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), თ. მაჭარაძე (ხონი), თ. ლაცაბიძე (სურამი). სამივეს მინიჭებული აქვს „ფიფას მსაჯის“ წოდება. სერგო კვარაცხელია დაიბადა 1958 წ., თამაშობდა ზუგდიდის „ენგურში“, სენაკის „ეგრისში“. მსაჯობა დაიწყო 1985 წლიდან. მუშაობს ზუგდიდის მცირე საწარმო „პოლიეთილენის“ თავმჯდომარედ.

ავდრის მიუხედავად, თამაშს დაესწრო 20 ათასზე მეტი მაყურებელი, რომელიც გულთბილად შეეგება ორივე გუნდს. მასპინძლებმა პირველივე წუთიდან მედგრად შეუტიეს მეტოქის კარს. უკვე მე-3 წუთზე ქინქლაძემ ოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ბალაძემ ძლივს მოიგერია ბურთი კუთხურზე. ორიოდე წუთში კვლავ ქინქლაძემ მარჯვენა ფლანგზე კარგად გაიყვანა გარღვევაზე რევაზ არველაძე, მისი ზუსტი დარტყმის შემდეგ კი ბურთი კარის ძელს მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა.

ბათუმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უიღბლო დებიუტმა ისინი ვერ გატეხა. მათ თანდათან გაათანაბრეს თამაში და რამდენიმე სახიფათო შეტევაც განახორციელეს. ერთ-ერთი მათგანი მაჭუტაძემ გოლითაც დააგვირგვინა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თ. მაჭარაძემ თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

ტაიმის შუაწელს არჩილ არველაძის თავური დარტყმის შემდეგ ბალაძემ უხერხულად მიიღო ბურთი... რომელიც კარში აღმოჩნდა.

სტუმრებმა კვლავ შეუტიეს ზოიძის კარს და მალე წარმატებასაც მიაღწიეს: მარჯვნიდან კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს ფეხი ააცილა ხომერიკმა, სამაგიეროდ, იმარჯვა ტუღუშმა, რომელმაც ხელიდან არ გაუშვა შანსი. სიტუაცია დაიძაბა და აქ უკვე მასპინძლებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა — მათ ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს ბათუმელთა კარში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო რევაზ არველაძის მიერ გატანილი გოლი: იგი მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა ბათუმელთა საჯარიმო მოედანში, სამ მცველს აუარა გვერდი და თავისი სრული გარღვევა წარმატებით დაასრულა.

მატჩის მეორე ნახევარმა შედარებით მშვიდად ჩაიარა — თბილისელთა შეტევებს სიმძაფრე მოაკლდა, ბათუმელებმა კი მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას ხომერიკის ლამაზი თავური დარტყმის შემდეგ.

მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ დინამოელებს წარმატება პირველებმა ბათუმელმა ფეხბურთელებმა მიულოცეს, საქართველოს თასი კი გამარჯვებულებს სფფ-ს გენერალურმა მდივანმა დავით კვინიკაძემ გადასცა.

დინამოელთა წარმატება წლევანდელ სათასო გათამაშებაში სავსებით კანონზომიერი და ლოგიკურია — ისინი აშკარად სჯობნიდნენ ყველა მეტოქეს.

მაშ ასე, წლევანდელი თასის გათამაშების ორივე ფინალისტმა ამ შემოდგომით ევროტურნირებში უნდა იასპარეზოს. დაე, ღირსეულად წარმოეჩინოთ მათ ქართული საფეხბურთო სკოლა!

უმაღლესი ჯგუფი

22 მაისი, XXXII ტური.

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) შეხვედრა გადაიდო.

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 4—3

„გურია“ (ლანჩხუთი) — „დილა“ (გორი) 3—0

„გორდა“ (რუსთავი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3—1

„ცხუმი“ (სოხუმი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1—3

„ივერია“ (ხაშური) — „მრეტები“ (თბილისი) 6—1

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 3—0. სამტრედიელები თამაშზე არ გამოცხადდნენ.

27 მაისი, XXVIII ტური

„ცხუმი“ (სოხუმი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1—3

უმაღლესი ჯგუფის მსაჯთა შეფასებები

14 მაისი, XXX ტური.

„ოდიში“ — „კახეთი“. შ. ხანიაშვილი 8,1, ი. შალამბერიძე 8,5, ზ. დოლიძე 8,7.

„გორდა“ — „ბათუმი“. გ. მიქაუტაძე 7,9, პ. დოგრაშვილი 8,2, ო. მაჩიტიძე 8,2.

„ცხუმი“ — „დილა“. თ. ლაცაბიძე 9,0, მ. ჰელიძე 9,0, ზ. დარჩია 7,0.

„ივერია“ — „სამგურალი“. შ. თომაშვილი 8,0, ი. მექერიშვილი 7,0, გ. ტაბატაძე 8,0.

„შევარდენი-1906“ — „სამტრედია“. ჯ. წერეთელი 9,0, მ. ფოლადაშვილი 9,0, თ. შირიმიანცი 9,0.

18 მაისი, XXXI ტური

„შევარდენი-1906“ — „კახეთი“. თ. მაჭარაძე 9,2, შ. ბერიძე 8,5, გ. ხეჩუაშვილი 9,5.

„მრეტები“ — „ალაზანი“. მ. კობიაშვილი 8,9, დ. გვაზავა 9,0, ა. მერკვილაძე 9,0.

„ტორპედო“ — „ცხუმი“. შ. ხანიაშვილი 8,5, შ. თომაშვილი 9,0, თ. კურტანიძე 9,0.

„ბათუმი“ — „გურია“. თ. ლაცაბიძე 9,0, ვ. ჩოჩიშვილი 9,0, ზ. დოლიძე 9,0.

•

პირველი ჯგუფი

19 მაისი. XXX ტური.

„არმაზი“ (მცხეთა) — „გურია-2“ (ლანჩხუთი) 2—3

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „არმაზი-90“ (თბილისი) 2—3

„სულორი“ (ვანი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1—2

„სიონი“ (ბოლნისი) — „არაგვი“ (დუშეთი) 1—0

„ქართლი“ (გორი) — „იმერეთი“ (ხონი) 1—2

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2—0. მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), შ. თომაშვილი (მცხეთა), ლ. მგელაძე (თბილისი). **„საპოვნელა“:** თევზაძე, ნოზაძე, გეწაძე, ჯულუხიძე, ძიძიშვილი, უკლება, ჯინჭარაძე (შ. ბოჭორიშვილი), ქურცაძე, ხვარეშია, ახვლედიანი, გურაბანიძე (ლოლუაშვილი), **მეშახტე“:** გ. ბოჭორიშვილი, ავალიანი, სოფრომაძე, მ. ხუჯაძე, მ. ბოჭორიშვილი, ივანეიშვილი, მეფარიძე, გიორგობიანი, ფარჩხიძე, ფანჩულიძე, კალატოზი.

გააფრთხილეს: ჭულუხიძე, სოფრომაძე, ხვარეშია.

გააძევეს მ. ხუჯაძე.

გოლები: უკლება, ჯინჭარაძე.

ფაქტობრივად, ამ თამაშში უნდა გამოვლენილიყო უმაღლესი ჯგუფის მესამე საგზურის მფლობელი (პირველ ორს ხომ კარგა ხანია ქობულეთის „შუქურა“ და ჭიათურის „მაღაროელი“ დაეპატრონენ), ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი და აჟიოტაჟი, რომელიც ამ შეხვედრას ახლდა. თერჯოლაში მრავლად ჩამოვიდნენ გულშემატკივრები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. რაიმე უსიამოვნო ინციდენტის თავიდან ასაცილებლად ადგილობრივი პოლიცია და გვარდიელები სრულ მზადყოფნაში იყვნენ. როგორც შემდგომ დავრწმუნდით, ეს სრულებითაც არ ყოფილა ზედმეტი: რომ არა მათი ჭეშმარიტად თავგანწირული მოქმედება, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები...

მატჩის პირველ ნახევარში ორთაბრძოლა თანაბარი და ნერვული იყო. თავდამსხმელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ მეტოქის კარის დალაშქვრა ვერ შეძლეს.

მეორე ნახევარში სურათი მკვეთრად შეიცვალა — მასპინძლები უკეთესი ტაქტიკური და განსაკუთრებით ფიზიკური მომზადების წყა-

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ლობით მთლიანად დაეპატრონენ მოედნის ცენტრს, სადაც მეტად გონებამახვილური თამაშით გამოირჩეოდა ნოზაძე. აქტიურად ამოქმედდნენ მარჯვივ უკლება და მარცხნივ გურაბანიძე. სწორედ ამ ფეხბურთელების მეცადინეობით გახსნეს მასპინძლებმა ანგარიში (ნოზაძე-გურაბანიძე-უკლებას კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი თავური დარტყმით დაგვირგვინდა). თერჯოლელები მიღწეულით არ დაკმაყოფილებულან, მათ კვლავ მწვავედ შეუტიეს სტუმართა კარს, ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში ტყიბულელმა მცველებმა შეუთანხმებლად ითამაშეს — შეეცადნენ ხელოვნურ თამაშგარე მდგომარეობაში დაეტოვებინათ მასპინძლები. მხოლოდ სასწაულმა იხსნა სტუმართა კარი. „მეშახტეს“ ფეხბურთელთა ნაწილი ვერ გაერკვა სიტუაციაში და მივარდა გვერდით მსაჯს, ერთ-ერთმა (მ. ხუჯაძემ) ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა მას, რისთვისაც არბიტრმა დაუყოვნებლივ დაატოვებინა მოედანი (თამაშის დამთავრების შემდეგ გაძევებულმა ფეხბურთელმა და „მეშახტის“ მწვრთნელებმა ბოდიში მოუხადეს მსაჯებს). ფეხბურთელთა მღელვარება მატჩზე ჩამოსულ ტყიბულელ გულშემატკივრებს გადაედოთ. მათ სცადეს მოედანზე გადასვლა, რათა ფიზიკურად გასწორებოდნენ მსაჯებს; აი, აქ კი, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მტკიცედ ამოქმედდნენ ადგილობრივი პოლიცია და გვარდიელები, რომლებმაც შეძლეს „დაემშვიდებინათ“ ზომაზე მეტად გაცხარებული გულშემატკივრები...

ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ სტუმართა „შეთხელებულ“ გუნდს ძალზე გაუჭირდებოდა მატჩის ხსნა. ასეც მოხდა.

გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ ამ ნერვულ, საპასუხისმგებლო შეხვედრას ძალზე კვალიფიციურად მოემსახურა მსაჯთა ბრიგადა გამოცდილ მალხაზ კობიაშვილის მეთაურობით.

28 მაისი, XXXI ტური.

„ქართლი“ (გორი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3—4

„იმერეთი“ (ხონი) — „სიონი“ (ბოლნისი) 1—0

„არაგვი“ (დუშეთი) — „სულორი“ (ვანი) 2—1

„შუქურა“ (ქობულეთი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 2—0

„მეშახტე“ (ტყიბული) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3—2

„არმაზი-90“ (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა). მსაჯები: შ. თომაშვილი (მცხეთა), ი. მექერიშვილი (გურჯაანი). **„არმაზი-90“:** ჩხაიძე, ყიფიანი, ოქროპირიძე, სულაქველიძე, თურმანიძე (ლაცაბიძე), მარღანია, სირაძე (მეშველიშვილი), ხოსროშვილი, გოდერძიშვილი, წოწორია, ჯულელი. **„მაღაროელი“:** გველესიანი, იობაშვილი, ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, თამაზაშვილი, აბრამიშვილი, ბრეგვაძე, ბუიშვილი, კავთელაძე, წიკლაური, დადუნაშვილი.

წინასწარ ვიტყვით, რომ ეს მატჩი ჩაიშალა თავაშვებულ გულშემატკივართა წყალობით და ის, რაზედაც ახლა ვისაუბრებთ, საკუთარი თვალით ნანახის აღწერაა, ობიექტურ ვერდიქტს მომხდარის თაობაზე კი სფფ- სპორტულ-ტექნიკური კომისია გამოიტანს.

თუმცა, ჯერ ერთ სუბიექტურ მოსაზრებას გაგიზიარებთ: ჩვენი აზრით, ამჟამად ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ჩატარება 26 მაისის სახელობის სტადიონზე მიზანშეუწონელია. რატომ? სტადიონს უჭირს, რომ იტყვიან, შავ დღეშია — მოედანი შემოუღობავია, მინდორი — ოღრო-ჩოღრო, დიდი ხნის გაუკრეჭავი, მოუწყობელია გასახდელები, არ არის რადიოინფორმაცია, არ მუშაობს ტაბლო. მატჩს არ ესწრებოდა პოლიციის არც ერთი თანამშრომელი, სასწრაფო დახმარების მანქანაც ვერსად დავინახეთ. ყოფილი აღმოსავლეთი ტრიბუნის ადგილზე დიდი ორმოებია და, როდესაც ბურთი იქით ვარდება, თამაში კარგა ხნით წყდება.

თავიდანვე ვიტყვით: სტუმრები აშკარად თავდაჯერებულნი გამოვიდნენ მოედანზე და დაისაჯნენ კიდეც. მართალია, მათ თამაშის დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში (წიკლაური, პენალტით), მაგრამ შემდგომ სათამაშო ინიციატივას ნელნელა თბილისელები დაეუფლნენ. ორჯერ ჯულელს და ერთხელაც სირაძეს მიეცათ ანგარიშის გათანაბრების კარგი შესაძლებლობა, მაგრამ შეტევის ზუსტად და შედეგიანად დასრულება ვერ შეძლეს.

თამაშის მეორე ნახევარში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა გახდა — ისინი მთლიანად დაეპატრონენ მოედნის ცენტრს, გრძელი გადაცემების წყალობით სახიფათოდ უტევდნენ თავდამსხმელები, რომლებმაც, სულ ცოტა, სამჯერ მაინც ვერ გამოიყენეს გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა. სტუმრები საოცრად პასიურად, ზანტად გამოიყურებოდნენ, ისინი უფრო ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევით იყვნენ დაკავებულნი, რისთვისაც, ვფიქრობთ, არბიტრს უნდა მიექცია ყურადღება — გამოეყენებინა საჯარიმო სანქციები. თავის მხრივ, ამ უკანასკნელს მართლაც დიდი ჯაფა დაადგა — საქმე ისაა, რომ თამაშზე არ გამოცხადდა ერთ-ერთი გვერდითი მსაჯი, ამიტომ შ. თომაშვილი იძულებული გახდა ერთობ დატვირთულიყო ფიზიკურად, რათა რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო სათამაშო სიტუაციებთან. სამწუხაროდ, ზოგიერთ ეპიზოდში იგი ამას, ეტყობა, ვერ ახერხებდა და შესაძლოა ამანაც გაალიზიანა ფეხბურთელთა და მაყურებელთა ნაწილი.

თამაშის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, როდესაც მასპინძელთა ნახევარმცველის მარღანიას დარტყმა ერთ-ერთ ჭიათურელ მცველს მოხვდა, შეიცვალა მიმართულება და „მაღაროელის“ კარში აღმოჩნდა. გატანილმა გოლმა ფრთები შეასხა მასპინძლებს, რომლებმაც კიდევ ორჯერ ვერ გამოიყენეს კარის აღების რეალური შესაძლებლობა. ჭიათურელები, რომლებსაც სრულებითაც არ ჰქონდათ „დაგეგმილი“ ამ შეხვედრაში ქულის დაკარგვაც კი, აღელვდნენ — იმის მაგივრად, რომ თამაში გაეძლიერებინათ, მსაჯთან კამათს უმატეს. მითუმეტეს, რომ საბაბიც მალე მიეცათ: „მაღაროელის“ ერთ-ერთი კონტრშეტევისას მათ ჩათვალეს, რომ მასპინძელთა საჯარიმო მოედანში ერთ-ერთმა თბილისელმა ხელით ითამაშა. არბიტრმა, რომელიც, სამწუხაროდ, შორს იყო ამ ადგილიდან, მიიჩნია, რომ მცველს განზრახ არ უთამაშია ხელით და პენალტი არ დანიშნა...

და აქ დაიწყო... კონკრეტულად რომელმა ფეხბურთელმა ან მოედანზე გამოვარდნილმა მაყურებელმა რამდენჯერ მიაყენა მთავარ მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა, ამას უჩვენოდაც გაარკვევენ. ვიტყვით მხოლოდ, რომ საბრალო ადამიანმა სტადიონიდან გაქცევით უშველა თავს...

კომენტარისაგან ჯერ თავს ვიკავებთ. დაველოდოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სპორტულ-ტექნიკური კომისია.

ჯემალ [illegible]აშვილი

გათამაშების ცხრილი ❀❀❀ უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 29 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბილისი)	26	21	2	3	64—19	65
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	27	16	4	7	58—32	52
„სამგურალი“ (წყალტუბო)	27	15	4	8	61—40	49
„ალაზანი“ (გურჯაანი)	26	15	3	8	49—35	48
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	23	13	5	5	39—33	44
„ტორპედო“ (ქუთაისი)	26	13	4	9	52—37	43
„გორდა“ (რუსთავი)	27	12	6	9	59—50	42
„კახეთი“ (თელავი)	26	12	3	11	41—43	39
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	27	11	6	10	41—36	39
„ბათუმი“ (ბათუმი)	26	9	5	12	46—46	32
„დილა“ (გორი)	28	9	4	15	33—45	31
„სამტრედია“ (სამტრედია)	27	9	4	14	27—41	31
„ოდიში“ (ზუგდიდი)	27	9	3	15	42—56	30
„ივერია“ (ხაშური)	27	8	3	16	28—52	27
„გურია“ (ლანჩხუთი)	26	8	2	16	27—19	26
„მრეტები“ (თბილისი)	26	7	3	16	28—54	24
„ცხუმი“ (სოხუმი)	26	6	1	19	44—66	19

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა თასზე

საფეხბურთო საფრანგეთი ზეიმობს

და აქვს კიდეც საამისო საბაბი: მარსელის „ოლიმპიკმა“ მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე 26 მაისს დაამარცხა იტალიის „მილანი“ და პირველად ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში სამშობლოში წაიღო ეს მეტად პრესტიჟული ჯილდო.. როგორც გაზეთები იუწყებიან, ათეულ ათასობით მარსელელი გამოეფინა ქუჩებსა და მოედნებზე, ყველა ზეიმობდა, საყოველთაო აღფრთოვანებას ბოლო არ უჩანდა და, შესაძლოა, ერთადერთი ფრანგი, რომელსაც არ ემხიარულებოდა ამ დღეს, იყო განთქმული ფეხბურთელი ჟან-პიერ პაპენი, რომელიც სწორედ ამ სეზონში გადავიდა „ოლიმპიკიდან“ „მილანში“, ამ მატჩის მეორე ტაიმში თავგამოდებით იბრძოდა თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ, მაგრამ ვერას გახდა.

მართლაც საინტერესო და დაძაბული თამაშის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე აბედი პელეს მიერ ჩამოწოდებული კუთხურიდან გაიტანა ბაზილ ბოლიმ. შესვენების შემდეგ „მილანი“ ბევრს ეცადა, მაგრამ ფრანგებმა არ დათმეს არაფერი, არ მისცეს მეტოქეს ინიციატივის დაუფლების საშუალება და ღირსეულადაც გაიმარჯვეს.

თამაშის დამთავრების შემდეგ უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა გამარჯვებულებს გადასცა ძვირფასი ჯილდო, რომელიც მათ ამ მატჩში უდავოდ დაიმსახურეს.

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასზე

ბრაზილიის „სან-პაულუმ“ გაიმარჯვა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, რომელსაც „ლიბერტადორესის თასი“ ეწოდება.

„სან-პაულუმ“ პირველი ფინალური შეხვედრა ჩილეს „უნივერსიდად კათოლიკასთან“ წააგო ანგარიშით 0:2, მაგრამ რიო-დე-ჟანეიროს სტადიონზე რევანში აიღო დიდი ანგარიშით — 5:1 და დაეუფლა პრიზს.

„არსენალი“ — თასის მფლობელი

ორი ფინალური მატჩი დასჭირდა ინგლისის 1993 წლის საფეხბურთო თასის მფლობელის გამოვლენას. ამ მეტად საპატიო პრიზისთვის იბრძოდნენ აღიარებული, პოპულარული კლუბები „არსენალი“ და „შეფილდ უენსდეი“.

სხვათა შორის, ეს ორი გუნდი ბოლო ხანებში არსებითად მესამედ შეხვდა ერთმანეთს. პირველად ისინი იბრძოდნენ ე. წ. ინგლისის ლიგის თასის ფინალში, მაშინ „არსენალმა“ იმძლავრა და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. შემდეგ დადგა ინგლისის ეროვნული თასის ჯერი და აქაც ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს სწორედ „არსენალმა“ და „შეფილდ უენსდეიმ“, მეტოქეები ისევ გამოვიდნენ „უემბლის“ სტადიონზე, ბრძოლა კვლავ უშეღავათო და დაძაბული იყო, პირველ შეხვედრაში დაწინაურდა „არსენალი“, მაგრამ შეფილდელებმა გაათანაბრეს ანგარიში — 1:1 და თასის პრეტენდენტებს კვლავ მოუხდათ მინდორზე გამოსვლა.

სიტუაცია, თითქოს ამჯერადაც გამეორდა: ანგარიში 34-ე წუთზე გახსნა არსენალელმა იან რაიტმა, 68-ე წუთზე კრის უოდლმა კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგე მცველის ლი დიქსონის შეცდომა, გაიტანა საპასუხო გოლი და საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. აქაც მე-18 წუთზე ანგარიში უცვლელი იყო, საქმე თითქოს დამატებით 11-მეტრიანებს უნდა გადაეწყვიტა, რაც პირველად ხდებოდა ინგლისის თასის ისტორიაში, მაგრამ „შეფილდ უენსდეის“ მხარეს დაინიშნა კუთხური, მოწოდებულ ბურთს მიუსწრო ენდი ლინიგენმა და თავით გაიტანა გადამწყვეტი გოლი — 2:1. ინგლისის თასს ლონდონელები დაეუფლნენ.

რამდენიმე სიტყვა „არსენალზე“. ინგლისის ეს კლუბი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ცნობილია მსოფლიოში, შეიქმნა 1886 წელს, მრავალჯერ მოუპოვებია ქვეყნის ჩემპიონობა, ექვსჯერ ფლობდა თასს (უკანასკნელად ეს იყო 1979 წელს), იგი ერთადერთი გუნდია, რომელსაც 1919 წლიდან არ დაუტოვებია ინგლისის უმაღლესი ლიგა. მის შემადგენლობაში სხვადასხვა წლებში გამოდიოდნენ ბრწყინვალე ფეხბურთელები დრეიკი, ჯემსი, ბესტინი, ჰეპგუდი, ისტმენი, რედფორდი, კენედი და სხვანი.

„არსენალს“ დიდი ღვაწლი მიუძღვის საერთაშორისო ფეხბურთის განვითარებაში. სწორედ ამ კლუბმა შეიმუშავა 30-იან წლებში ახალი ტაქტიკური სქემა „დუბლვე“, რომელიც დიდხანს ბატონობდა მთელს მსოფლიოში, მერე კი, 1958 წელს ბრაზილიელებმა დააკანონეს თავიანთი ახალი ტაქტიკური განლაგება 4-2-4.

მხოლოდ გამარჯვებულები

საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1973-74 წლებში დაბადებულთა შორის. თბილისი.

48 კგ. — მონაწილე არ იყო, 52. კობა კიკაძე (თბილისი), 57. ჯამბულ ფუტკარაძე (ბათუმი), 62. დავით ხირაძე (ოზურგეთი), 68. გელა კამკამიძე (თბილისი), 74. ხვიჩა ბიჩინაშვილი (გარდაბანი), 82. გოჩა ციციაშვილი (თბილისი), 90. მუხრან ვახტანგაძე (ბათუმი), 100. ბაკურ გოგიტიძე (თბილისი), მძიმე. დავით ენდელაძე (ქუთაისი).

მოსალოდნელია თუ არა კატასტროფა?

„ფორმულა-1-ის“ მეფეები: მოსლი და ეკლსტოუნი დიდი ხანია დავობენ. პირველს მიაჩნია, რომ რბოლაში წამყვანი ფიგურა პილოტია — იგი ქმნის ამინდს და, თუ გნებავთ, შეჯიბრების იმიჯს. მეორის აზრით, ყველაფერი პირიქითაა: ფორმულის ავტოფარეხი (უფრო კონკრეტულად კი ტექნიკა) თავად განსაზღვრავს პილოტის ოსტატობასაც და რბოლის პოპულარობას.

კამათი ამის თაობაზე დღემდე გრძელდება, თუმცა „ფორმულაში“ ბევრი არსებითი ძვრა მოხდა და გადაფასდა ჩვეული წარმოდგენები. პირველი დარტყმა ამ პოპულარულმა შეჯიბრებამ მიიღო მაშინ, როცა იგი მიატოვა ინგლისელმა ნაიჯელ მენსელმა. ჩემპიონმა თავისი კარიერის მიწურულს გადაწყვიტა ბედი „ინდიკარის“ ამერიკულ სერიებში ეცადა — ავტომობილისტთა პოპულარულ რბოლაში, რომელიც ბოლო დროს გარკვეულ კონკურენციას უწევს „ფორმულას“.

მერე გაირკვა, რომ „ინდიკარისადმი“ მთლად გულგრილი არც ბრაზილიელი აირტონ სენა ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, მან რამდენჯერმე განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ადვილი შესაძლებელია კვლავ შეხვდეს მენსელს ტრასაზე. იგივეს ფიქრობს რამდენიმე, რანგით უფრო დაბალი კლასის პილოტი და მათ შორის ბუტსენი და ბრანდლი. ყველაფერმა ამან საგრძნობლად შეურყია ავტორიტეტი ფორმულას გაზეთების ფურცლებზე და ტელევიზიის ეკრანზე.

საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ბერნი ეკლსტოუნი, რომელსაც, ამავე დროს, „ფორმულის“ ფინანსთა მინისტრად მიიჩნევენ, გვიან მიხვდა, რომ საჭიროა რადიკალური ზომების მიღება კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ამ მიზნით „მინისტრმა“ რამდენიმე გეგმა წამოაყენა, რომელთაგან ერთ-ერთს უმალ ბოდვა და სიგიჟე უწოდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ბრძოლის პირობების გათანაბრების მიზნით ეკლსტოუნმა მეტად საეჭვო იდეა წამოაყენა ფავორიტთა ხელოვნური შეზღუდვის თაობაზე. მაგრამ „ფორმულის“ კონსტრუქტორთა ასოციაციის კონგრესზე, რომელიც ლონდონში „ხიტროუს“ აეროპორტის სასტუმროში მოეწყო, დელეგატთა უმრავლესობამ (პირველ რიგში კი ფრენკ უილიამსმა და რონ დენისმა) მხარი არ დაუჭირა ეკლსტოუნის წინადადებას და ამით „რბოლა სასიკვდილო განაჩენისგან იხსნა“.

მაშ ასე, მენსელი წავიდა, იგივეს აპირებს სენა. დარჩა ალენ პროსტი, რომელიც ერთი შეხედვით იხტიბარს არ იტეხს. მან პირდაპირ თქვა, რომ ფავორიტების გარეშე არ გრძნობს არავითარ დისკომფორტს და პირველობისთვის ძველებური ჟინითა და აზარტით იბრძვის. ჯერჯერობით ეს შესაძლოა ასეა, ვინაიდან პროსტს გვერდით ჰყავს სენა. მაგრამ რა იქნება ხვალ, კაცმა არ იცის.

— „ინდიკარი“ ჩემი სისუსტეა, — განაცხადა წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ბრაზილიელმა. იგი მაშინ ამერიკის ქალაქ ფინიკსში იმყოფებოდა და „პენსკე-შევროლეზე“ ტესტ-რბოლების სერიებში მონაწილეობდა. გუნდის პრეს-ატაშემ დენ ლიუგენბიულმა უარყო ხმები, თითქოს სენამ კონტრაქტი დადო „შევროლესთან“.

— აირტონს არც ერთხელ არ გამოუთქვამს ასეთი სურვილი, თუმცა, რა დასამალია და გუნდი სიამოვნებით ითანამშრომლებდა მასთან.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, სენას თანხმობის შემთხვევაში „შევროლეს“ ეყოლებოდა ზღაპრული დუეტი მისი და ემერსონ ფიტიპალდის სახით.

არც ისე დიდი ხნის წინ ერთმა ამერიკულმა გაზეთმა დაბეჭდა თავისი კორესპონდენტის საუბარი აირტონ სენასთან, სადაც მან თქვა:

— „ინდიკარი“ ჩემთვის არის შექმნილი. ერთადერთი რამ, რაც გულს მწყვეტს, გახლავთ ის, რომ რბოლას არა აქვს მსოფლიო ჩემპიონატის სტატუსი. მაგრამ ყველაფერი დაგავიწყდება, როცა დადგები სტარტის ხაზზე და შენს გვერდით იქნებიან ფიტიპალდი და მენსელი. მე მიყვარს სისწრაფე და „ინდი“ ამის საშუალებას იძლევა. ჩემი პროგნოზი ასეთია: მომავალი „ინდიკარს“ ეკუთვნის.

ასეთი სიტყვების შემდეგ ძნელი სავარაუდოა, რომ აირტონ სენა ბოლომდე „ფორმულის“ ერთგული დარჩეს.

ეკა გვასალია



მთავარი რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

ინფორმაცია

● **თელ-ავივი.** ბოლო 23 წლის განმავლობაში ადგილობრივი „მაკაბის“ კალათბურთელებს არ დაუთმიათ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ამჟამად წესი დაირღვა და ისრაელის პირველი გუნდი გახდა „პაპოელ გალილ ელიონი“, რომელმაც „პლეი-ოფის“ ფინალური სერია მოუგო თელ-ავივის „ჰაპოელს“ 3:1 (ბოლო მატჩში გალილელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 89:85). საინტერესოა აღინიშნოს, რომ მომავალმა ჩემპიონმა ნახევარფინალურ სერიაში ისრაელის კალათბურთის პირველ გრანდს „მაკაბის“ აჯობა — 3:2.

● **ბერლინი.** გაზეთი „ტიურინგიშე ცაიტუნგი“ იუწყება რომ შუბის ტყორცნაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა, გერმანელმა პეტრა მაიერ-ფელკემ გადაწყვიტა თავი დაანებოს დიდ სპორტს, ვინაიდან ფეხმძიმედაა და შვილს ელოდება. 33 წლის მძლეოსანმა ოლიმპიური ოქროს მედალი 1988 წელს მოიგო სეულში. იმავე სეზონში მან დაამყარა მსოფლიო რეკორდი (80 მეტრი), რომელიც დღემდე ურყევად დგას.

ბორის პაიჭაძის სახელობის
ეროვნული სტადიონი
აკ. წერეთლის გამზირი № 2

ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული
ჩემპიონატი

უმაღლესი ჯგუფი

3 ივნისი

„დინამო“ (თბილისი) —
„გორდა“ (რუსთავი)

დასაწყისი 17 საათზე

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 3 ივნისს 11 საათიდან.

7 ივნისი

„მრეტები“ (თბილისი) —
„გორდა“ (რუსთავი)

დასაწყისი 17 საათზე

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 7 ივნისს 11 საათიდან.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა ლეგენდარული ქართველი ველომრბოლი, სპორტის დამსახურებული ოსტატი

ომარ ფხაკაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისის სპორტკომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს და ახლობლებს სპორტის დამსახურებული ოსტატის **ომარ ფხაკაძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ომარ ფხაკაძის ოჯახს და ნათესავებს თავს დატეხილი უბედურების გამო.

ყოფილი ტანმოვარჯიშეები ჯემალ ქარაზანაშვილი, ალეკო ფარულავა, ნოდარ მაკალათია, სოზარ ალხაზიშვილი, როლანდ კობახიძე, ომარ ლონლაძე, ჯემალ კვანტალიანი, თენგიზ მაცუკაშვილი. რობერტ მიქაძე თანაგრძნობას უცხადებენ ალექსანდრა ჯანუყაშვილს მეუღლის

ომარ ფხაკაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორატი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სპორტის დამსახურებული ოსტატის

ომარ ფხაკაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რაგბის კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სპორტის დამსახურებული ოსტატის

ომარ ფხაკაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ცხენოსნობის ფედერაცია თანაუგრძნობს ოჯახს და ნათესავებს

ომარ ფხაკაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს წყალთა სპორტის კონფედერაცია თანაუგრძნობს ოჯახს და ნათესავებს გამოჩენილი ქართველი სპორტსმენის

ომარ ფხაკაძის

გარდაცვალების გამო.

„სპორტლოტო“

მე-16-ე ტირაჟები
„6 45“: 4, 8, 10, 15, 28, 33.
„5 36“: 1, 5, 16, 24, 26.
„6 56“: 18, 41, 44, 45, 49, 51, 53.

ტირაჟების შედეგები
„6 45“:
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 22.640;
4 ნომერი — 735.
„5 36“:
5 ნომერი — 679.760;
4 ნომერი — 1455;
3 ნომერი — 70.

მე-17 ტირაჟები
„6 45“: 1, 19, 23, 27, 32, 34.
„5 36“: 3, 7, 8, 29, 31.
„6 56“: 5, 10, 23, 25, 32, 53, 54.

ტირაჟების შედეგები
„6 45“:
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 13.740;
4 ნომერი — 780.
„5 36“:
5 ნომერი — 1.018.695;
4 ნომერი — 1.805;
3 ნომერი — 75.

მე-18 ტირაჟები
„6 45“: 8, 18, 22, 26, 27, 38.
„5 36“: 2, 17, 23, 24, 27.
„6 56“: 11, 14, 27, 40, 45, 50, 53.

ტირაჟების შედეგები
„6 45“:
6 ნომერი — 0;
5 ნომერი — 29.850;
4 ნომერი — 1.175.
„5 36“:
5 ნომერი — 508.950;
4 ნომერი — 1.755;
3 ნომერი — 75.

მე-19 ტირაჟები
„6 45“: 9, 12, 14, 23, 30, 36.
„5 36“: 18, 19, 25, 33, 34.
„6 56“: 12, 17, 21, 22, 40, 50, 51.

„სპორტპროგნოზი“

მე-16 ტირაჟი
1—1, 2—1, 3—1, 4—X, 5—1, 6—1, 7—1, 8—1, 9—2, 10—1, 11—X, 12—1, 13—X.
ტირაჟის შედეგები: 13 შედეგი — 122.370; 12 შედეგი — 850; 11 შედეგი — 235.

მე-17 ტირაჟი
1—1, 2—1, 3—2, 4—2, 5—1, 6—X, 7—1, 8—2, 9—1, 10—2, 11—1, 12—1, 13—X.
ტირაჟის შედეგები: 13 შედეგი — 851.785; 12 შედეგი — 5815; 11 შედეგი — 1060.

სპეცტირაჟი „C-8“
1—X, 2—X, 3—2, 4—2, 5—X, 6—2, 7—2, 8—1, 9—2, 10—2, 11—2, 12—1, 13—X.
ტირაჟის შედეგები: 13 შედეგი — 0; 12 შედეგი — 0; 11 შედეგი — 113.405.

მე-18 ტირაჟი
1—2, 2—1, 3—2, 4—X, 5—2, 6—1, 7—X, 8—2, 9—1, 10—2, 11—X, 12—X, 13—X.
ტირაჟის შედეგები: 13 შედეგი 0; 12 შედეგი — 311.595; 11 შედეგი — 34.620.

ჩვენი მისამართი. თბილისი [illegible], [illegible], 14. ☎ ტელ: 99-66-24 [illegible] INDEX [illegible]